საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/581
2017 წლის 28 დეკემბერი

ქ. თბილისი

2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ

„ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის და ,,ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

დამტკიცდეს თანდართული „2018 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსი".

მუხლი 2

ბუნებრივი გაზის სექტორის მდგრადობის, სტაბილურობისა და საიმედო ფუნქციონირების უზრუნველყოფის მიზნით ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ლიცენზიანტი უფლებამოსილია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება ბუნებრივი გაზის ბალანსით გათვალისწინებული ბუნებრივი გაზის იმპორტის საერთო მოცულობის ფარგლებში, მომწოდებელი ქვეყნის მიხედვით წყაროების ჩანაცვლების შესახებ.

მუხლი 3

ამ ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „2017 წლის ბუნებრივი გაზის ბალანსის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის 2016 წლის 29 ნოემბრის №90 ბრძანება.

მუხლი 4

ეს ბრძანება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს ეკონომიკისა და
მდგრადი განვითარების მინისტრი — **დიმიტრი ქუმსიშვილი**